

აგვისტო 1989

№ 1171

ქ.თბილისი

29.VII.1989.

ვინაიდან ერთა თვითგამორკვევის უფლებით 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ქართველი ერის სახელით გამოაცხადა თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფო,

ვინაიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შედეგად,

ვინაიდან ამ ანტისამართლებრივი ქმედებით რუსეთის ბოლშევიკურმა მმართველობამ დაარღვია 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულება რსფსრ-სა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის,

ვინაიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესმა საკანონმდებლო ორგანომ - დამფუძნებელმა კრებამ - 1921 წლის 17 მარტს დამოუკიდებელი სახელმწიფოს კონსტიტუცია, დამტკიცებული იმავე წლის 21 თებერვალს, გამოაცხადა დროებით შეჩერებულად,

ვინაიდან საქართველოს დემოკრატიულ საფუძვლებზე არჩეულმა მთავრობამ კაპიტულაციას ხელი არ მოაწერა და ამით გააგრძელა პარლამენტის მიერ მისთვის მინიჭებული მანდატი, როგორც ქართველი ერის ნების ერთადერთმა გამომხატველმა,

ვინაიდან საბჭოების არჩევნები საქართველოში, 1922 წლის დასაწყისში, ჩატარდა ფორმალურად, ბოლშევიკური რუსეთის საოკუპაციო ჯარებისა და რსდმპ /ბ/ კავკასიის ბიუროს უხეში ჩარევით,

ვინაიდან 1921 წლის თებერვლიდან მოყოლებული არ შემწყდარა ქართველი ერის ფიზიკური თუ სულიერი გენოციდი,

ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში თავისი არსებობის მანძილზე სრული გაკოტრება განიცადა ცხოვრების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, დემოგრაფიულ თუ ეკოლოგიურ სფეროში,

ვინაიდან ერთაშორისმა ურთიერთობებმა უაღრესად მწვავე ხასიათი მიიღო საქართველოში, რაც უშუალო შედეგია ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული საბჭოური პოლიტიკისა,

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტია

და

საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი

თავს მოვალედ თვლიან გამოაქვეყნონ შემდეგი

დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

1. ყველა იმ მწვავე პრობლემის გადაჭრა, რომელიც დღეს დგას ქართველი ერის წინაშე, მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველო აღიდგენს თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფოს სტატუსს.

2. საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური მმართველობის ერთადერთ მისაღებ ფორმას უნდა წარმოადგენდეს დემოკრატიული წყობა.

3. ქართველი ერის ნების გამომხატველი უნდა გახდეს მრავალპარტიული პარლამენტი, არჩეული პირდაპირი და საყოველთაო არჩევნებით.

4. საქართველოს უმაღლესი საბჭო, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ არსებული საკავშირო უზურპაციული ხელისუფლების პერიფერიულ დანამატს, ვერ ასრულებს და არც შეუძლია შეასრულოს საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია.

5. საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ფუნქცია უნდა დაეკისროს ეროვნულ სათათბიროს, არჩეულს დემოკრატიულ საწყისებზე ერთმანდატიანი საარჩევნო მხარეების მიერ.

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტია და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი, გამომდინარე ზემოთქმულიდან

ა ც ხ ა დ ე ბ ე ნ

1. ქართველმა ერმა უნდა დაითხოვოს საქართველოს უმაღლესი საბჭო იმ 440 დეპუტატის დეზავუირებით, ვინც დღეს ფიქტიური არჩევნების შედეგად ამ ე.წ. საკანონმდებლო ინსტანციაშია.

2. დეპუტატების გამოწვევა უნდა განხორციელდეს არა როგორც ინდივიდუალური პირებისა, არამედ როგორც არასამართლებრივი და არაკანონიერი გზით შექმნილი მმართველობის წევრებისა.

3. რეფერენდუმისა და პეტიციური წესით განხილულმა და მოწონებულმა მრავალპარტიულმა საარჩევნო სისტემამ საშუალება უნდა მისცეს ელექტორატს სამართლებრივი გზით აირჩიოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი.

4. საქართველოს მრავალპარტიულმა პარლამენტმა – ეროვნულმა სათათბირომ – უნდა გადაწყვიტოს მოსახლეობის წინაშე მდგარი მწვავე პრობლემები და ერთა თვითგამორკვევის საყოველთაო პრინციპით საშუალება მისცეს ქართველ ერს თავად განსაზღვროს თავისი საგარეო და საშინაო პოლიტიკური სტატუსი, ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული განვითარების მიმართულებანი გარეშე ძალის ჩაურევლად.

გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტია

საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი

---

მცირე კომენტარი. ეს დოკუმენტი წარდგენილ იქნა საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის 29 ივნისის სხდომაზე. ეროვნული სათათბიროს საკითხთან ერთად თათბირზე განხილულ იქნა ქვემო ქართლში შექმნილი ეთნოკრიზისული ვითარებიდან გამოსვლის შესაძლებლობები. დებატების შემდგომ ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის ყველა წევრმა შეთანხმებით მიიღო გადაწყვეტილება – მუშაობა გაგრძელებულიყო ორი მიმართულებით: დაწყებულიყო კამპანია ეროვნული სათათბიროს შესაქმნელად და განხორციელებულიყო ღონისძიებანი ეთნოკრიზისის თავიდან ასაცილებლად. პირველ რიგში ეს გადაწყვეტილება ეხებოდა გაფიცვების მოწყობას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში და მათ შორის თბილისში. შეთანხმებით დედაქალაქში გაფიცვები არ უნდა გამოცხადებულიყო. ამის შესახებ ითქვა იმავე ღამეს, კინოს სახლის წინ გამართულ მიტინგზე. მეორე დღესვე, 30 ივნისს, შეთანხმების მიუხედავად, თბილისში გამოცხადდა გაფიცვა. ამ განცხადების შემდეგ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ოფიციალურად დასტოვა საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი /1.VII.1989 წ./. საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიის და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის უნიატურმა გაერთიანებამ კი გამოაქვეყნა შემდეგი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

1989 წლის 9 აპრილის შემდგომ საქართველოში შეიქმნა რთული პოლიტიკური ვითარება, რაც განისაზღვრა რამდენიმე ფაქტორით:

1. მიუხედავად იმისა, რომ მკვეთრად ამაღლდა ქართველი ადამიანების ეროვნული შეგნება, ერის კონსოლიდაცია მოხდა მხოლოდ ფსიქოლოგიური ასპექტით.

2. გარეგნულად მამულიშვილურ სამოსელში გახვეულმა საქართველოს მმართველობამ, რამაც ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის მერყეობა და მისი რეფორმისტულ-კომპრომისული განწყობის გაძლიერება გამოიწვია.

3. რეფორმისტულ კომპრომისული ტენდენციები კიდევ უფრო გაღრმავდა საქართველოს სახალხო ფრონტის შექმნის შემდგომ, რამაც შეიძლება ს ერთხე შეუქმნას მოვლენების ობიექტურ ანალიზს და მოქმედების სწორი მიმართულების არჩევას.

4. ოპოზიციური ძალების კოორდინირებულ მოქმედებას შეეძლო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩიხიდან გამოყვანა, რაც თავდაპირველად მოხერხდა კიდეც, როდესაც შეიქმნა საქართველოს ეროვნული ხსნის კომიტეტი.

5. ამჟამად საქართველოში შექმნილმა ეთნოკრიზისულმა სიტუაციამ ოპოზიციური ძალების ერთიანობა საფრთხის ქვეშ დააყენა, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ 1989 წლის 11 აპრილს, ქალაქ თბილისში საკომენდანტო საათის მოქმედების დროს ჩამოყალიბებულმა ეროვნული ხსნის მთავარმა კომიტეტმა საშხედრო-საალყო წესების პირობებში შესძლო მუშაობა.

დღევანდელი პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის გზების ძიება აიძულებს საქართველოს სამართალ-რადიკალურ პარტიასა და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირს:

1. მცირე დროით შეწყვიტონ ყოველგვარი პრაქტიკული საქმიანობა პარტიისა და კავშირის გარეთ, ხოლო იმ წევრებს, ვინც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, შესთავაზონ პარტიისა და კავშირის დატოვება.

2. მიმართონ ყველა ოპოზიციურ ძალას თავისი გადაწყვეტილებით, რადგან ეს მათ მიაჩნიათ თავისათვის ერთადერთ შესაძლო ნაბიჯად.

3. მიუხედავად პარტიისა და კავშირის გარეთ ყოველგვარი პრაქტიკული საქმიანობის შეწყვეტისა, სამართალ-რადიკალური პარტია და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი ქართველი ერისათვის კრიტიკული მომენტის დადგომის შემთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ლებაში ნებისმიერ დროს მივმართავენ აქტიურ ქმედებას.

ამასთან, საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტია და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ყველა ოპოზიციურ გაერთიანებას მიაგებენ კეთილგანწყობას და პატივისცემას.

ქ.თბილისი 3.VII.1989 წ.

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტია
საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი

---

ჩვენი კომენტარი. ქვემო ქართლში წარმოქმნილი ეთნოკრიზისული ვითარების შემდგომ გამოკვეთილმა ორმა მიმართულებამ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩამოყალიბებული სახე მიიღო ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში, დატრიალებული ტრაგედიის შეფასებაში. საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში დარჩენილმა გაერთიანებებმა დაუყოვნებლივ მოითხოვეს საყოველთაო გაფიცვების მოწყობა, თუმცა ამას წინ უძღოდა ეროვნული დაუმორჩილებლობის გამოცხადების ცდა. კვლავ მოხდა აზრთა სხვადასხვაობის გამჟღავნება. ოპოზიციურ გაერთიანებათა ნაწილმა მოითხოვა დაუმორჩილებლობის გარკვეული ვადით გადაწევა. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის განცხადებას ეროვნული დაუმორჩილებლობის 15 აგვისტოდან დაწყების შესახებ დაეთანხმა საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიისა და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის უნიატური გაერთიანება /18.VIII.1989 წ./. საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის, წმ. ილია მართლის საზოგადოებისა და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მიერ წამოწყებულ აქციებს არ შეუერთდნენ აღნიშნული პარტიები და მათთან ერთად საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია /დემოკრატებისა/.

---

ქ.თბილისი 23.VII.1989.

## მიმართვა

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია-IV ცასს!

ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დღეს საფრთხის ქვეშ დადგა. ერის ერთიანობა მხოლოდ ფსიქოლოგიურად განხორციელდა, რამაც ჯერჯერობით პოლიტიკური კონსოლიდაციის ხასიათი ვერ მიიღო. იმძლავრა რიხითა და ხმაურით წამოსროლილმა ლოზუნგებმა, რომელთა უკან არ ჩანს დამოუკიდებლობის მიღწევის რეალური გზა. ამგვარი ვითარების შექმნამ ქართულ ეროვნულ მოძრაობაში გამოიწვია ყოვლად გაუმართლებელი და მიუღებელი განცხადებების გაკეთება ზოგიერთი ეროვნულ-პოლიტიკური გაერთიანების მისამართით.

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიისა და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის უნიატური გაერთიანება აცხადებს:

I. მხარს ვუჭერთ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოზიციას და ჩვენის მხრიდან ვადასტურებთ ეთნოკრიზისის სამართლებრივ-პოლიტიკურ ბრძოლაში გადაზრდის აუცილებლობას.

2. ამ პოზიციის გამოხატულება არის ის, რომ უნიატური გაერთიანება მიტინგს მართავს 23 ივლისიდან ყოველდღე მხოლოდ და მხოლოდ "9 მარტის ბაღში" და არა სხვაგან სადმე.

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიისა და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის უნიატური გაერთიანება იმედს გამოთქვამს:

I. არსებული ეთნოკრიზისი დროებითია და ქართველი ერი მოძებნის სამართლებრივ გამოსავალს.

2. ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თავს დააღწევს იმ შარახვეტიებს, რომელთათვისაც საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება იგივეა, რაც რიხით წამოსროლილი ლოზუნგი.

მიიღეთ ჩვენი თანადგომა!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოს!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

---

ქ.თბილისი 23.VII.1989.

## საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიისა და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის უნიატური გაერთიანების

## მემორანდუმი

ქართველი ერის წინაშე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აუცილებლობა იშვიათად მდგარა ისე მძაფრად, ვიდრე დღეს. საქართველოსათვის თავისუფლების იდეა საუკუნეთა მანძილზე ეყრდნობოდა მსოფლიო სახელმწიფოთა შორის თანასწორუფლებიან არსებობას. თავისუფალი განვითარება იყო ერთადერთი გარანტი იმისა, რომ საკაცობრიო მღვაწეობაში ქართველ ერს დღესდღეისობით გარკვეული ადგილი უჭირავს. საქართველოს სახელმწიფოებრივ სამართალსუბიექტობას მომავალი მსოფლიო განვითარება მოუტანს. იმ სამი კომპონენტის ერთიანობამ, რაც განახორციელებს ქართველი ერის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, თავიამში უნდა მისცეს ერთა და სახელმწიფოთა შორის ახალ ურთიერთობებს:

I. ერისა და პიროვნების უფლებების განხორციელებაზე დაფუძნებულმა საერთაშორისო გლობალურმა პროცესებმა,

2. ტოტალიტარული საბჭოური რეჟიმის ქვეშ მყოფი ერების მოძრაობამ თავისუფლებისაკენ და

3. სრულიად საქართველოს მიერ თავისუფლების აუცილებლობის გააზრებამ, არა მხოლოდ როგორც განვითარების პირობისა, არამედ როგორც გადარჩენის ერთადერთი შესაძლებლობისა.

ამ სამი კომპონენტის ერთიანობა შეუძლებელია საერთაშორისო თანაარსებობის პრინციპის, როგორც საყოველთაოდ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებად აღიარების გარეშე. თავისუფლების განხორციელება ამ პრინციპის, როგორც მსოფლმხედველობრივი დასაყრდენის, რეალურ ცხოვრებაში გატარება წარმოადგენს.

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიისა და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის უნიატური გაერთიანება ძირითად მიზნად ისახავს მსოფლმხედველობრივი სისტემის პრაქტიკულ განხორციელებას. ამდენად მისთვის წინააღმდეგობრივს არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დამკვიდრებისათვის ბრძოლა ქართველი ერის დღევანდელ კონკრეტულ პრობლემათა გადაჭრასთან. ამასთან, საქართველოს სამართალ-რადიკალურ პარტიისა და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის უნიატურ გაერთიანებას ღრმად სწამს, რომ კონკრეტული პრობლემების აღმოფხვრა უმთავრესი პრობლემის გადაჭრისათვის ზრუნვის გარეშე არის მხოლოდ და მხოლოდ გაბმა იმ ხლართებში, რაშიც ცდილობს ქართველი ერის ჩაბოვებას ტოტალიტარული საბჭოური რეჟიმი. მოქმედების პოლიტიკური მოტივაცია და არა ეთნოკონფლიქტურ სიტუაციაზე აგებული სპონტანური ქმედება - ეს არის უნიატური გაერთიანების უცვლელი გზა. მისი პოლიტიკური ქმედება კი ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივ ნორმებს და ამით იგი ემიჯნება ყოველგვარ ფსევდოეროვნულს, ე ვულგარულს ძალადობაზე.

მემორანდუმის გამოქვეყნების დღიდან საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიისა და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის უნიატური გაერთიანება თავს არ თვლის ვალდებულად იყოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის წევრი, რაც ფაქტიურად გაცხადდა ა.წ. 3 ივლისს. გაერთიანებას მიაჩნია, რომ ეროვნული ხსნის მთავარმა კომიტეტმა, მართალია, უმძიმეს ჟამს ქართველი ერის ცხოვრებაში შეასრულა თავისი მისია, მაგრამ დღეს მისი შესაძლებლობები ამოწურულია.

უნიატურ გაერთიანება იტოვებს სრულ უფლებას იმოქმედოს დამოუკიდებლად, განსაზღვრულ მომენტში და გარკვეული დროით შეკრას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ რომელიმე ეროვნულ-პოლიტიკურ გაერთიანებასთან ბლოკი ან შევიდეს მასთან კოალიციაში.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

---

მცირე კომენტარი. მემორანდუმი უნიატური გაერთიანების საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტიდან გასვლის შესახებ გამოქვეყნდა 23 ივლისს, ხოლო პრაქტიკული საქმიანობა, როგორც ერთობლივი განცხადებიდან ჩანს, საქართველოს სამართალ-რადიკალურმა პარტიამ და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირმა პარტიისა და კავშირის გარეთ მცირე ხნით შეწყვიტეს 3 ივლისს. ჯერ კიდევ 23 ივნისს საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მიმართვა ე.წ. "თურქ-მესხებთან" დაკავშირებით. მას ხელს აწერდა კომიტეტში გაერთიანებული ყველა ოპოზიციური ჯგუფი. მაგრამ უკვე ივლისის თვეში დამოუკიდებელ თვითგამოცემის ერთ-ერთ გაზეთში იგივე მიმართვა გამოქვეყნდა საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის, წმ. ილია მართლის საზოგადოების და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ხელმოწერით, რიცხვი კი იგივე დარჩა - 23 ივნისი.

---

ქ. თბილისი 23.VII.1989

**საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიისა**

**და**

**საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის**

**უნიატური გაერთიანების**

## მ ე მ უ ა რ ი

საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის ცნობის ფურცელ "უწყებანში" /№2/5/, 1989 წლის 8 თებერვალი/ ჩამოყალიბებულ მოსაზრებათა შორის, ერთ-ერთ წერილში - "საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი, არსი, მიმართულება, პრობლემები, ამოცანები" - გამოთქმული იყო პოზიცია:

1. საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი ბოიკოტს უცხადებს არსებულ ერთპარტიულ საარჩევნო სისტემას, როგორც არადემოკრატიულს.

2. უზურპატორული მმართველობის პოლიტიკური სტაგნაციის პირობებში კავშირი შეეცდება პარალელური მმართველობის პრინციპების დამკვიდრებას.

ამასთან, პოლიტიკური კლიმატის შეცვლის შემთხვევაში შეიქმნებოდა პირობები იმისა, რომ იქნებოდა შესაძლებლობა მრავალპარტიული სისტემის დამკვიდრების ცდისა.

საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის პირველმა ყრილობამ, რომელიც გაიმართა 1989 წლის 1-2 აპრილს, თავის რეზოლუციებში გამოკვეთა დამოკიდებულება არსებულ ტოტალიტარული რეჟიმის ცვლილების რეფორმისტული მიმართულებისადმი და ჩამოაყალიბა შეხედულება საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს მიმართ:

1. უზენაეს საკანონმდებლო ორგანოს საქართველოში უნდა წარმოადგენდეს მრავალპარტიული პარლამენტი - ეროვნული სათათბირო.

2. ეროვნულ სათათბიროში უნდა შესდგეს ორი პალატა - დამფუძნებელი კრება /არჩეული მაჟორიტარული პრინციპით/ და წარმომადგენელთა კრება /არჩეული პროპორციულობის პრინციპით/.

დღევანდელი ვითარება საშუალებას იძლევა სამართლებრივ-პოლიტიკური ბრძოლით არჩეულ იქნას მხოლოდ ერთი პალატა - დამფუძნებელი კრება - მაჟორიტარული პრინციპით, რაც საფუძველი უნდა გახდეს საქართველოს მომავალი პარლამენტისა.

წინამდებარე მემუარი ხსნის ამჟამად უკვე საქართველოს სამართალ-რადიკალურ პარტიასთან უნიატურ გაერთიანებაში მყოფ საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის დამოკიდებულებას ეროვნული სათათბიროს მიმართ.

უნიატური გაერთიანება თვლის, რომ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა შეუძლებელი იქნება სრული და ჭეშმარიტი დემოკრატიის დამკვიდრების გარეშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიისა და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის უნიატური გაერთიანება

### დეკლარაცია

საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი და საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტია წარმოადგენს უნიატურ ეროვნულ-პოლიტიკურ გაერთიანებას, სადაც საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტია არის ორგანიზაცია, რომელიც უნიის პოლიტიკურ ინტერესებს გამოხატავს. საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი დემოკრატიულ საწყისებზე შექმნილი ორგანიზაციაა, რომელიც უნიის სოციალურ-საზოგადოებრივ საქმიანობას წარმართავს.

უნიის მიზანია ერისა და პიროვნების თავისუფლების პრინციპებიდან გამომდინარე მოქმედება ქართველი ერის სუვერენიტეტის აღდგენისათვის სახელმწიფოებრივ, სამართლებრივ და საერთაშორისო არსებობის რეალურ სტრუქტურაში, რაც გამოიხატება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხამოყ უიბებაში.

### თავი I

### პარტიისა და კავშირის უფლება-მოვალეობანი უნიატურ გაერთიანებაში

1. როგორც საქართველოს სამართალ-რადიკალურ პარტიას, ასევე საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირს გააჩნიათ ავტონომიური შიგა სტრუქტურები. ერთობლივი მუშაობის წარმართვა ხდება პარტიის თავმჯდომარის მეშვეობით.

2. გამოხატავს რა უნიის პოლიტიკურ ინტერესებს, საქართველოს სამართალ-რადიკალურ პარტიას გააჩნია სრული უფლება უნიატური გაერთიანების სახელით აწარმოოს დამოუკიდებელი პოლიტიკა გაერთიანების გარეთ, თუ ეს არ გამოიწვევს კავშირის ავტონომიურ უფლებათა დარღვევას.

3. წარმართავს რა უნიის საზოგადოებრივ საქმიანობას, საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირს აქვს უფლება აწარმოოს დამოუკიდებელი პოლიტიკა მხოლოდ და მხოლოდ უნიატური გაერთიანების შიგნით, როგორც უფლება თავისუფალი ორგანიზაციისა ნებისმიერ საკითხზე გამოხატოს დამოუკიდებელი შეხედულება და დაიცვას იგი. სოციალურ-საზოგადოებრივ საქმიანობას კავშირი ავტონომიურად ახორციელებს უნიის გარეთაც.

4. იმ შემთხვევაში, თუ პარტიისა და კავშირის პოზიციები ამა თუ იმ პოლიტიკური აქტის მიმართ განსხვავებულია, პარტიას აქვს უფლება იმოქმედოს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სახელით.

### თავი II

### საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის აგებულება

### §I საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის წევრი

საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის წევრობა შეუძლია პიროვნებას, რომელიც აღიარებს კავშირის ქარტიას თავისი შინაგანი რწმენით და მეგლისდების თანახმად გაერთიანდება სხვა წევრებთან ერთად.

ყოველი ახალი წევრის მიღება ხდება კავშირის სათათბიროს მიერ კავშირის ერთ-ერთი წევრის წარდგინებით, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს წარდგენილის პიროვნებაზე.

წევრის კავშირიდან გაყვანის საკითხის გადაწყვეტა ხდება კავშირის ასოციაციის საერთო კრებაზე, რაც მიღებულად ჩაითვლება, თუ გაყვანას ხმა მისცა წევრთა 2/3-მა. ამ გადაწყვეტილებას ამტკიცებს სათათბირო.

1. კავშირის წევრს უფლება აქვს:

ა. აირჩიოს და არჩეულ იქნეს კავშირის სხვადასხვა რგოლში.

ბ. დასვას ნებისმიერი ხასიათის საკითხი როგორც კომისიის, ასევე ასოციაციის წინაშე და აუცილებლობის შემთხვევაში მიმართოს კავშირის სათათბიროს.

გ. გავიდეს კავშირიდან მიზეზის დასახელებით ან მის გარეშე.

დ. თავისუფალი მონაწილეობა მიიღოს კავშირის საქმიანობაში.

ე. აიღოს სრული პასუხისმგებლობა ამა თუ იმ ასოციაციაში ან კავშირის კომისიაში მუშაობაზე ისე, რომ მისი უფლება-მოვალეობანი მხოლოდ და მხოლოდ ამ ასოციაციის ან კავშირის კომისიის ფარგლებში რჩებოდეს.

ვ. გამოხატოს თავისი დამოუკიდებულება ამა თუ იმ ქმედების ან პოლიტიკური აქტის მიმართ და ამით განსაზღვროს პირადი პასუხისმგებლობის სიდიდე და არე.

2 კავშირის წევრი მოვალეა:

ა. იცავდეს მეგლისდების მოთხოვნებს და აღიარებდეს კავშირის სხვა წევრთა პიროვნულ უფლებებს.

ბ. თავისი ქმედებით პასუხი აგოს როგორც საკუთარი თავის, ასევე თანამდგომის წინაშე.

გ. კავშირისა და უნიის გარეთ დაიცვას მისი ინტერესები.

### §II საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის ასოციაცია

საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის წევრები ერთიანდებიან კავშირის თავისუფალ ასოციაციებში საკუთარი ნების მიხედვით. ასოციაციის წევრთა რაოდენობა და კავშირის ასოციაციათა რაოდენობა შეუზღუდავია. ასოციაციის საერთო კრება ირჩევს ასოციაციის მმართველს, რომელიც აკოორდინირებს ასოციაციის მუშაობას და ასოციაციის წარმომადგენლობას კავშირის სათათბიროში 2 კაცის შემადგენლობით. მმართველი და წარმომადგენლობა აირჩევა ხმათა უბრალო უმრავლესობით ერთი წლის ვადით. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

ასოციაციის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ასოციაციის საერთო კრება, რომელიც იმართება ორ თვეში ერთხელ მაინც.

1. ასოციაციის გამგებლობაშია:

ა. ასოციაციის ფარგლებში საზოგადოებრივ-სოციალური მუშაობის ავტონომიური წარმართვა.

ბ. ასოციაციათა შიგნით ფუნქციური კომისიების შექმნა-გაუქმება, მათი ხელმძღვანელობის დანიშვნა და სამუშაო პროგრამათა დამტკიცება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ.დაადგინოს სხდომათა მოწვევის წესი.

2.ასოციაციის მოვალეობაა:

ა.მონაწილეობდეს სათათბიროს მუშაობაში.

ბ.პერიოდულად წარუდგინოს სათათბიროს სამუშაო პროგრამა და სისტემატურად აწვდიდეს სათათბიროს ინფორმაციას ასოციაციის მუშაობის შესახებ.

გ.კავშირის გარეთ არ გამოვიდეს სათათბიროს იმ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, რომელშიც კონსენსუსის წესით მონაწილეობას არ მიიღებს.

## §III საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის კომისია

საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირში საჭიროებისდა მიხედვით იქმნება ფუნქციური დროებითი ან მუდმივმოქმედი კომისიები, რომლებიც წარმართავენ კავშირის ამა თუ იმ მიზნობრივ მუშაობას. კომისიათა შექმნა-გაუქმება ხდება სათათბიროს გადაწყვეტილებით.

კავშირის კომისიის ხელმძღვანელს კავშირის წევრთაგან ნიშნავს სათათბირო. კომისიის ხელმძღვანელი საკუთარი შეხედულებისამებრ აყალიბებს კომისიას და წარმართავს მის მიზნობრივ მუშაობას. /დასაშვებია კომისიაში კავშირის არაწევრის ყოფნაც/.

ფუნქციური კომისიის გამგებლობაშია:

ა.მიზნობრივი სამუშაო პროგრამის შემუშავება და ამ პროგრამის ავტონომიური შესრულება.

ბ.კომისიის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია სათათბიროს წინაშე.

## §IV საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის სათათბირო

საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა სათათბირო. სათათბირო შედგება მმართველებისაგან, ასოციაციათა წარმომადგენლებისგან და მუდმივმოქმედი კომისიების ხელმძღვანელებისგან.

I.სათათბიროს გამგებლობაშია:

ა.კავშირის საზოგადოებრივ-სოციალური მუშაობის წარმართვა და საკანონმდებლო ფუნქციის შესრულება.

ბ.კომისიების შექმნა-გაუქმება, მათი ხელმძღვანელების დანიშვნა და სამუშაო პროგრამების დამტკიცება.

გ.ასოციაციათა სამუშაო პროგრამების პერიოდული განხილვა და მათში რეკომენდაციების სახით შესწორებათა შეტანა.

დ.კავშირის ახალი წევრის მიღება.

2.სათათბიროს მოვალეა:

ა.მეთვალყურეობდეს ასოციაციათა ყველა კომისიის საქმიანობას.

ბ.თავისი გადაწყვეტილებით პასუხი აგოს კავშირისა და ერის წინაშე.

3.სათათბიროს გადაწყვეტილების მიღებისას კონსენსუსის წესი არ მოქმედებს:

ა.სათათბიროს აღმასრულებლის დამტკიცებისას.

ბ.კავშირის კომისიის შექმნა-გაუქმების და მისი ხელმძღვანელის დანიშვნისას.

გ.კავშირის პროგრამების დამტკიცებისას.

დ.კავშირის წევრის მიღებისას და წევრობიდან გაყვანის დამტკიცებისას.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმათა უბრალო უმრავლესობით და იმ პირობით, რომ თითოეული ასოციაცია ინარჩუნებს ვეტოს უფლებას ერთგზის.

## თავი III

## საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიის აგებულება

## §I საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიის წევრი

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიის წევრობა შეუძლია საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის იმ წევრს, რომელიც აღიარებს პარტიის ქარტიას, მის საარჩევნო პროგრამას, მეგლისების თანახმად ერთიანდება სხვა წევრებთან ერთად, იხდის საწევროს და მონაწილეობას მიიღებს პარტიის ერთ-ერთი სტრუქტურული რგოლის მუშაობაში.

ყოველი ახალი წევრის მიღება ხდება პარტიის მთავარი კაბინეტის მიერ მთავარი კაბინეტის რომელიმე წევრის რეკომენდაციით, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს რეკომენდირებულის პიროვნებაზე.

წევრის პარტიიდან გაყვანის საკითხის გადაწყვეტა ხდება კაბინეტის სხდომაზე, რაც მიღებულად ჩაითვლება, თუ გაყვანას ხმა მისცა კაბინეტის წევრთა ნახევარმა და მათ შორის კაბინეტის მდივანმა. მდივანსა და კაბინეტის გადაწყვეტილებათა შორის წინააღმდეგობისას საკითხს წყვეტს მთავარი კაბინეტი ხმათა უბრალო უმრავლესობით.

I.პარტიის წევრს უფლება აქვს:

ა.აირჩიოს და არჩეულ იქნეს პარტიის სხვადასხვა რგოლში.

ბ.დასვას ნებისმიერი ხასიათის საკითხი როგორც კაბინეტში, ისე მიმართოს მთავარ კაბინეტს და პარტიის თავმჯდომარეს; იცავდეს თავის აზრს, ვიდრე მთავარი კაბინეტი არ მიიღებს გადაწყვეტილებას. მთავარი კაბინეტის გადაწყვეტილება საბოლოოა.

გ.სარგებლობდეს ერთი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

დ.გავიდეს პარტიიდან მიზეზის დასახელებით.

2.პარტიის წევრი მოვალეა

ა.შეასრულოს პარტიის გადაწყვეტილება.

ბ.იცავდეს მეგლისების მოთხოვნებს და სხვა აქტებს.

გ.თავისი ქმედებით პასუხი აგოს თანამდგომისა და ზემდგომის წინაშე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## §II საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიის კაბინეტი

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიის კაბინეტი არის პარტიის ძირითადი ფუნქციური რგოლი,რომელიც წარმართავს პარტიის მუშაობას პოლიტიკური ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში.ყოველი ახალი კაბინეტის შექმნა ხდება პარტიის მთავარი კაბინეტის გადაწყვეტილებით. კაბინეტის მუშაობაზე პასუხისმგებელია კაბინეტის მდივანი,რომელიც მთავარი კაბინეტის წევრია.კაბინეტის მდივანს ნიშნავს პარტიის თავმჯდომარე და ამტკიცებს პარტიის ყრილობა. კაბინეტის სხდომა უფლებამოსილია,თუ მას ესწრება წევრთა რაოდენობის ნახევარზე მეტი.

I.კაბინეტის გამგებლობაშია:

ა.წარმართოს პარტიის მუშაობა კაბინეტის კომპეტენციას დაქვემდებარებულ პოლიტიკურ სფეროში.

ბ.დაადგინოს სხდომათა მოწვევის წესი.

გ.კაბინეტის წევრი გაიყვანოს პარტიის შემადგენლობიდან.

2.კაბინეტის მოვალეობაა:

ა.შეასრულოს პარტიის მთავარი კაბინეტის დავალებანი.

ბ.პერიოდულად წარუდგინოს სამუშაო პროგრამა მთავარ კაბინეტს და შეიტანოს ცვლილებები მთავარი კაბინეტის რეკომენდაციის საფუძველზე.

გ.პასუხი აგოს მთავარი კაბინეტის წინაშე ნებისმიერი ქმედებისათვის.

3.კაბინეტის მდივანი:

ა.წარმართავს კაბინეტის მუშაობას,ხელმძღვანელობს კაბინეტის სხდომებს და გადაწყვეტილების გამოტანისას აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება.

ბ.მოვალეა დაიყვანოს კაბინეტის წევრებამდე მთავარი კაბინეტის დავალებანი.

გ.მოვალეა გაიტანოს მთავარი კაბინეტის სხდომებზე კაბინეტის დასკვნები.

დ.ანგარიშვალდებულია მთავარი კაბინეტის წინაშე.

## §III საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიის მთავარი კაბინეტი

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიის მთავარი კაბინეტი წარმოადგენს პარტიის ყრილობებს შორის პერიოდში პარტიის საკანონმდებლო ორგანოს.მთავარი კაბინეტი შედგება კაბინეტების მდივნებისგან და პარტიის თავმჯდომარისაგან.მთავარ კაბინეტში გადაწყვეტილების გამოტანა ხდება ღია და ფარული კენჭისყრით ხმათა უბრალო უმრავლესობით.კენჭისყრის სახეს კონკრეტული გადაწყვეტილების გამოტანისას განსაზღვრავს მთავარი კაბინეტი ღია კენჭისყრით,ხმათა უბრალო უმრავლესობით.

მთავარი კაბინეტის გამგებლობაშია:

ა.პარტიის საერთო პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრა.

ბ.ცალკეული კაბინეტების სამუშაო პროგრამათა განხილვა და დამტკიცება.

გ.პარტიის ყრილობის მომზადება და საჭიროების შემთხვევაში რიგგარეშე ყრილობის მოწვევა,თუ მას მხარს დაუჭერს მთავარი კაბინეტის წევრთა I/3.

დ.მეთვალყურეობა ყველა კაბინეტის მუშაობაზე.

ე.პოლიტიკური განცხადებების გაკეთება.

ვ.საარჩევნო კამპანიების წარმართვა.

ზ.უნიის პრესის გამოცემა.

თ.პარტიის ფინანსური საქმეების წარმართვა.

მთავარი კაბინეტი ანგარიშვალდებულია საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიის ყრილობის წინაშე.

პარტიის თავმჯდომარის არჩევა ხდება პარტიის ყრილობაზე ორი წლის ვადით.არჩევნებში მონაწილე ასახელებს თავის კანდიდატურას და აყალიბებს პროგრამას.თავმჯდომარე აირჩევა,თუ მას ხმა მისცა ყრილობის 2/3-მა მაინც. თავმჯდომარის ვადაზე ადრე გამოწვევა შეუძლია მხოლოდ რიგგარეშე ყრილობას,თუ მის მოწვევას ხმა მისცა ყრილობის დელეგატთა ნახევარმა მაინც.

პარტიის თავმჯდომარე

ა.ითვლება კავშირის სათათბიროს თავმჯდომარედაც.

ბ.ხელმძღვანელობს მთავარი კაბინეტის საქმიანობას.

გ.ნიშნავს მთავარი კაბინეტის შემადგენლობას და დასამტკიცებლად წარუდგენს პარტიის ყრილობას.ყრილობათა შორის პერიოდში კაბინეტის მდივნის შეცვლისას ახალ კანდიდატურას დასამტკიცებლად წარუდგენს მთავარ კაბინეტს.

დ.არის უნიის გამოცემათა მთავარი რედაქტორი.

ე.ანგარიშვალდებულია პარტიის ყრილობის წინაშე.

## §IV საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიის ყრილობა

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიის და უნიის საკანონმდებლო ფუნქციები ენიჭება პარტიის ყრილობას,რომელიც მოიწვევა წელიწადში ერთხელ.იგი უფლებამოსილია,თუ მას ესწრება უნიის დელეგატთა აბსოლუტური უმრავლესობა გადამწყვეტი ხმის უფლებით.

ყრილობის მოწვევა და მომზადება ხდება პარტიის მთავარი კაბინეტის მიერ.რიგგარეშე ყრილობა მოიწვევა მთავარი კაბინეტის I/3-ის ინიციატივით,ყრილობის დღის წესრიგის წინასწარი გამოქვეყნებით.რიგგარეშე ყრილობის მოწვევა უნდა მოხდეს ერთი თვის ვადაში.

ყრილობის გამგებლობაშია:

ა.მოისმინოს მთავარი კაბინეტის ანგარიში და შეაჯამოს იგი.

ბ.დაამტკიცოს და გამოაცხადოს უნიის ოფიციალური გამოქვეყნებანი.

გ.საჭირო შემთხვევაში ცვლილებანი შეიტანოს უნიის მე კისდე ში

დ. მიილოს უნიის საერთო საარჩევნო პროგრამა და დაამტკიცოს პარტიისა და კავშირის კანდიდატები საპარლამენტო არჩევნებში.

ე. აირჩიოს პარტიის თავმჯდომარე.

ვ. დაამტკიცოს მთავარი კაბინეტის შემადგენლობა.

ზ. განსაზღვროს უნიის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი.

შენიშვნა. წესდების წარმოდგენილი ვარიანტი არის მხოლოდ პროექტი, რომლის სრულყოფაში შეუძლია წ ნაწილეობის მიღება სამართალ-რადიკალური პარტიისა და ეროვნული სამართლიანობის კავშირის ყველა წევრს. წესდება საბოლოო სახით დამტკიცებულ იქნება საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიისა და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის უნიატური გაერთიანების I კონგრესზე, რომლის მოწვევის ვადები გამოცხადდება მოგვიანებით. მთავარი კაბინეტი იმედს გამოთქვამს, რომ შესაძლო ხარვეზები, დაშვებული წესდების პროექტში, გასწორდება ჩატარებული სარედაქციო სამუშაოს შემდეგ.

## საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიის
## ქ ა რ ტ ი ა

გამოხატავს რა საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის-თავისუფალი ასოციაციების გაერთიანების პოლიტიკურ ინტერესებს, ეფუძნება რა საერთაშორისო სამართლის ორ უმთავრეს პრინციპს- ერისა და პიროვნების თავისუფლებას, საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტია იღებს და აქვეყნებს შემდეგ ქარტიას:

9 აპრილის ბარბაროსული და დანაშაულებრივი აქციის შემდეგ "გარდაქმნის" სახელმწიფო პოლიტიკამ საქართველოში სრული კრახი განიცადა. დადგა ჟამი, როდესაც ქართველმა ერმა თვითონ უნდა შექმნას და განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკა და უარი განაცხადოს იმ სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ სისტემაში მონაწილეობაზე, რომელიც 1921 წლის თებერვალში ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების დარღვევით დამყარდა და რომლის ლოგიკური შედეგია ქართველი ერის ფიზიკური თუ სულიერი გენოციდი დაწყებული 1921 წლის საქართველოს ანექსიიდან ვიდრე მისი გამოცხადებული ნების სისხლიან დათრგუნვამდე 9 აპრილს. როგორც ჩანს, გარდაქმნა ის ტოტალიტარული პოლიტიკის ნოვაციაა, რომელსაც შეეწირა საქართველოს სახელმწიფოებრიობა, და როგორც შედეგი დღესაც ეწირება მისი კანონიერი ინტერესები, ვინაიდან ამ ინტერესთა გამომხატველი პოლიტიკა და ამ პოლიტიკის გამტარებელი ეროვნულ-პოლიტიკური გაერთიანებანი დღესაც კანონგარეშე არიან და მათი ოპოზიციურობისათვისაც კი არავითარი ადგილი არ არსებობს არსებულ ტოტალიტარულ პოლიტიკურ სტრუქტურაში.

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტია გმობს ამგვარი გაკოტრებული ნოვაციის რეანიმაციის ყოველგვარ ცდებს საქართველოში ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს და რა ფორმითაც /ფარული თუ პირდაპირი/ არ უნდა მჟღავნდებოდეს ისინი.

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტია იღებს რა წინამდებარე ქარტიას, აღიარებს:

1. 1921 წლის თებერვალში საქართველოში დამხობილი სამართლიანობის აღდგენა მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ რადიკალურად შეიცვლება დღეს არსებული სახელმწიფო პოლიტიკური სტრუქტურა, როცა სხვა მრავალთა შორის და უპირველეს ყოვლისა კანონიზირდება საქართველოს კანონიერი ინტერესები, ამ ინტერესთა გამომხატველი პოლიტიკა და ამ პოლიტიკის გამტარებელი ეროვნულ-პოლიტიკური გაერთიანებანი.

2. საქართველოში უკვე ჩამოყალიბებული მრავალგვაროვანი ეროვნულ-პოლიტიკური ინტერესების კანონიზაციის ერთადერთ მისაღებ ფორმას და გამომდინარე ეროვნული სახელმწიფოს პოლიტიკური სტრუქტურის ერთადერთ მისაღებ ფორმას უნდა წარმოადგენდეს მრავალპარტიული პარლამენტური რესპუბლიკა.

3. თუ 9 აპრილამდე საქართველოში მიმდინარეობდა ბრძოლა დამოუკიდებლობის იდეის ერში დასამკვიდრებლად, 9 აპრილის შემდეგ უნდა დაიწყოს ბრძოლა ამ იდეის რეალიზაციისათვის, რაც მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული პარლამენტარიზმისათვის სამართლებრივ-პოლიტიკურ ბრძოლაში უნდა გამოიხატოს.

4. საქართველოში არსებულ ყველა პოლიტიკურ ძალას შორის ურთიერთობა უნდა აიგოს დემოკრატიულ პრინციპებზე.

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიის უზენაესი მიზანია ერისა და პიროვნების თავისუფლება.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

---

ვინაიდან ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციით ყველა ადამიანს აქვს უფლება შექმნას თავისუფალი ასოციაციები და პროფესიული კავშირები,

ვინაიდან პროფკავშირული უფლებების ქარტიით მშრომელებს აქვთ უფლება ჩამოაყალიბონ პროფესიული კავშირები, შევიდნენ არსებულ პროფესიულ ორგანიზაციებში და მონაწილეობა მიიღონ პროფკავშირულ მუშაობაში სახელმწიფო ხელისუფლებისა და წარმოების ხელმძღვანელთა ნებართვისა და კონტროლის გარეშე,

ვინაიდან საქართველოში დღეს არსებული პროფკავშირები სახელმწიფო ტოტალიტარული სტრუქტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და არ გამოხატავს მოქალაქეთა სოციალურ ინტერესებს,

ვინაიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის პერიოდში ყველა მოქალაქეს გააჩნდა კონსტიტუციური უფლება გაერთიანებულიყო თავისუფალ პროფესიულ კავშირებში,

ვინაიდან ეროვნულ მოძრაობაში ყოველ პიროვნებას უნდა გააჩნდეს როგორც პოლიტიკური, ასევე გარკვეულად სოციალური ფუნქცია

ქვეყნდება თავისუფალ ასოციაციებში მყოფ საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირისა და საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიის წევრთა

# დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

ერი მთლიანობას ქმნის არა მისი შემადგენელი სოციუმების ინტერესთა ერთგვაროვნების, არამედ ამ ინტერესთა მრავალგვარობის სრული გარანტირებით.

დღევანდელი ქართული ეროვნული მოძრაობა პოლიტიკურად საერთო ეროვნულ ინტერესს ტოტალიტარული სახელმწიფო სისტემის მიერ ხელყოფისაგან დაიცავს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული სოციალური ჯგუფი დაიცავს თავის სოციალურ ინტერესებს.

3. სოციალურ ინტერესთა დაცვისათვის ეროვნულ მოძრაობაში შექმნილია და იქნება თავისუფალი პროფესიული გაერთიანებანი, რომელთა მოქმედება შემდეგ მიზნებს ისახავს:

ა. ერთი პროფესიისა და დარგის მუშაკთა შემოკრებას.

ბ. ბრძოლას ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის.

გ. სოციალური სამართლიანობის დაცვა-აღდგენას და მშრომელთა უფლებების დაცვას.

დ. მოღვაწეობას პროფესიონალიზმის ასამაღლებლად.

თავისუფალი პროფესიული გაერთიანებანი ეროვნული მოძრაობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და მათი უზენაესი მიზანი ერისა და პიროვნების თავისუფლებაა.

თავისუფალი პროფესიული გაერთიანებანი თავიანთი მიზნების რეალურ ცხოვრებაში დასამკვიდრებლად იბრძვიან გაფიცვებით, დემონსტრაციებით და ბრძოლის სხვა მშვიდობიანი ფორმებით.

ქ. თბილისი 2.VIII.1989.

თავისუფალი ასოციაციების წევრთა ჯგუფი

## მშრომელთა პროფკავშირული უფლებების ქარტია

### I. მშრომელთა უფლებები

1. მშრომელებს აქვთ უფლება ჩამოაყალიბონ, შეჰქმნან პროფესიული კავშირები, შევიდნენ არსებულ პროფკავშირულ ორგანიზაციებში და მონაწილეობა მიიღონ პროფკავშირულ მუშაობაში სახელმწიფო ხელისუფლებისა და წარმოებათა ხელმძღვანელთა ნებართვისა და კონტროლის გარეშე.
2. მშრომელებს აქვთ უფლება შეიკრიბონ როგორც სამუშაო ადგილებზე, ასევე მის გარეთ მათთვის საინტერესო საკითხების განსახილველად. უფლება აქვთ თავისუფლად გამოთქვან თავისი აზრი, წაიკითხონ და დაბეჭდონ სურვილის მიხედვით, გაავრცელონ პროფკავშირული და მშრომელთა პუბლიკაციები, აწარმოონ ნებისმიერი პროფკავშირული პროპაგანდა.
3. მშრომელებს უფლება აქვთ აირჩიონ პიროვნებები პროფკავშირულ დელეგატებად კერძო საწარმოებში, ნებისმიერ სამუშაო ადგილზე, საწარმოოს დელეგატებს ან ძირეული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მოსთხოვონ მშრომელთა ინტერესების დაცვა და თავად იქნენ არჩეული ამ თანამდებობაზე. მათ უფლება აქვთ მიმართონ არჩეულ დელეგატს ნებისმიერ საკითხზე, რომელიც ეხება საერთო, კერძო და პირად ინტერესებს.
4. მშრომელებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საკუთარი ინტერესების დაცვისათვის ბრძოლაში, ეს იქნება გაფიცვა დემონსტრაცია თუ პროფკავშირული ბრძოლის სხვა ფორმები,
5. პროფკავშირის წევრობა და პროფკავშირული მოღვაწეობა მათი წევრების პირადი რწმენა, აზრი და შეხედულებანი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და წარმოებათა ხელმძღვანელების მიერ დისკრიმინაციის, ხელფასის დაკლების, სამსახურიდან დათხოვნის, ნებისმიერი სანქციის მიზეზად.

### II. პროფკავშირული ორგანიზაციების თავისუფალი ფუნქციონირება

6. პროფკავშირული ორგანიზაციების წევრები თავისუფლად ქმნიან წესდებებს, საზღვრავენ მათ ფუნქციონირებას და მოღვაწეობას, თავისუფლად და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ირჩევენ ხელმძღვანელ და აღმასრულებელ ორგანოებს. თავიანთი წესდებებით პროფკავშირულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ განახორციელონ თავიანთი მოღვაწეობა სახელმწიფო ხელისუფლებისა და საწარმოთა ხელმძღვანელების კონტროლისა და ჩარევის გარეშე.
7. პროფკავშირულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წინასწარი გაფრთხილების გარეშე მოიწვიონ კრებები ან ყრილობები, მათ უფლება აქვთ მოაწყონ პროფკავშირული დემონსტრაციები, მათ შორის ქუჩებშიც. აქვთ უფლება ადგილებზე მოიწვიონ პროფკავშირული კრებები.
8. პროფკავშირებში გაერთიანებული მშრომელები თავად საზღვრავენ საწევროების რაოდენობას, თანახმად პროფკავშირული წესდებისა. ეს საწევრო გადასახადები უნდა შეიკრიბოს იმ პირობებში, რომელთაც განსაზღვრავენ მშრომელები. პროფკავშირული საწევროები უნდა იყოს ნებაყოფლობითი და თავისუფალი. მხოლოდ პროფკავშირულ ორგანიზაციებს აქვთ უფლება საწევრო ფონდის გამოყენებისა სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის გარეშე. პროფკავშირული ფონდი და ასევე მათ მიერ შეძენილი ქონება კონფისკაციას არ ექვემდებარება.
9. პროფკავშირულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ სახელმწიფო ხელისუფლებას მოსთხოვონ მუდმივი შენობის გამოყოფა და მიიღონ იგი მათთვის ხელსაყრელი მოღვაწეობისათვის, მარტო მათ აქვთ უფლება ამ შენობის დაკავების და მოხმარების, ეს შენობა ხელშეუხებელია.
10. პროფკავშირულ ორგანიზაციებს აქვთ უფლება ორგანიზაცია გაუწიონ ნებისმიერ სამუშაოს აღზრდის, სწავლის და განათლების სფეროში, შექმნან და ხელმძღვანელობა გაუწიონ სკოლების, ბიბლიოთეკების, კლუბებისა და სხვა სოციალურ, კულტურულ-აღმზრდელობით მოღვაწეობას, სპორტული დაწესებულებების მოქმედებას მშრომელთათვის.
11. პროფკავშირების წარმომადგენლებსა და დელეგატებს უფლება აქვთ განახორციელონ თავიანთი მოღვაწეობა ადგილებზე ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ჩარევის, ხელის შეშლისა და კონტროლის გარეშე. პროფკავშირული ფუნქციების შესრულების დროს ისინი დაცული უნდა იყვნენ ყოველგვარი სანქციების, რაიმე ზომების, დისციპლინარული სასჯელისა და რეპრესიებისაგან.

   იმ შემთხვევაში, როდესაც მშრომლები ცხოვრობენ დამქირავებლის შენობაში, პროფკავშირული დელეგატებისა და წარმომადგენლების მოღვაწეობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იქნეს აკრძალული დამქირავებლის თუ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ.
12. ნებისმიერი დარგისა და პროფესიის პროფკავშირებს უფლება აქვთ გაერთიანდნენ ადგილის, ოლქის, ტერიტორიის, ეროვნული ნიშნის მიხედვით.

### III. მშრომელთა წარმომადგენლობა პროფესიულ ორგანიზაციებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. პროფკავშირულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ დაიცვან მშრომელთა ინტერესები, აანიხილონ, გამოთქვან და იმოქმედონ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისათვის მათი ინტერესების დასაცავად.

14. მათ აქვთ უფლება კოლექტიური ხელშეკრულების დადებისა, როგორც სახელმწიფო ხელისუფლებასთან, ასევე საწარმოს ხელმძღვანელობასთან.

15. ისინი ინდივიდუალურ ან კოლექტიურ ხელშეკრულებას წარადგენენ ნებისმიერ ორგანიზაციაში, რომელთა ინტერესებში შედის ხელფასის, შრომის დაცვის, პროფკავშირული სწავლების, დაქირავების, დაკავების, გათავისუფლების უფლებები. ხელისუფლებას არა აქვს უფლება ზემოთ ჩამოთვლილი უფლებების ხელყოფისა.
პროფკავშირულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ამ ორგანიზაციებში წარმომადგენლობის სახით, თუ ერთ-ერთი ორგანიზაციის ამორჩევაზე მიდგება საქმე, მაშინ უნდა იქნეს არჩეული ყველაზე წარმომადგენლობითი ორგანიზაცია.

16. მათ უფლება აქვთ მმართველობითი მონაწილეობა მიიღონ სოციალური დაზღვევისა და ყველა სოციალური ორგანიზაციის მუშაობაში.

17. მათ უფლება აქვთ ჩაატარონ ღონისძიებანი მშრომელთა სამართალდაცვისათვის.

18. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა კონსულტაცია უნდა ჩაუტარონ ნებისმიერ საკითხზე დაინტერესებულ მშრომელს და მას მისცენ რჩევა-დარიგება შესაბამისი კანონების მოქმედების შესახებ.

### IV. გაფიცვის უფლების გარანტია

19. გაფიცვის უფლება არის მშრომელთა უმთავრესი უფლება. რომელი პროფესიისაც არ უნდა იყოს, ყველა მშრომელს აქვს გაფიცვის უფლება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მშრომელებსა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ მიიღონ ნებისმიერი სახის ზომები გაფიცვის ორგანიზებისა და მხარდაჭერისთვის.

20. გაფიცვის ორგანიზება და მასში მონაწილეობა, ისევე როგორც სოლიდარობის გამოვლენა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქცეს გაფიცვის შემდეგ დასჯის, სანქციის ან რეპრესიული ნორმების მიღების მიზეზად.

### V. საერთაშორისო პროფკავშირული მოღვაწეობა

21. პროფკავშირის წევრების თავისუფალი არჩევანის მიხედვით პროფესიულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ შევიდნენ ნებისმიერ საერთაშორისო პროფკავშირულ ორგანიზაციაში

22. პროფკავშირულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროფკავშირულ მოძრაობაში, ითანამშრომლონ, იმოქმედონ ერთობლივი ინტერესებიდან გამომდინარე, საზღვარგარეთისა და საერთაშორისო პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად. თანაბარი უფლება აქვთ სოლიდარობა გამოხატონ სხვა ქვეყნების მშრომელებისა და პროფკავშირების მიმართ. მათ უფლება აქვთ მოიწვიონ საერთაშორისო პროფკავშირული კონფერენციები და კრებები.

23. პროფკავშირულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ გაცვალონ დელეგატები, დაუბრკოლებლივ მხარი დაუჭირონ სხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო პროფკავშირულ ორგანიზაციებს. მათ წარმომადგენლებს მიზნების შესასრულებლად აუცილებლად უნდა ჰქონდეთ პასპორტები და ვიზები.

24. საერთაშორისო პროფკავშირულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ მხარი დაუჭირონ ნებისმიერი ქვეყნის პროფკავშირულ ორგანიზაციათა სისტემატურ ურთიერთობას. საერთაშორისო პროფკავშირულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ დადონ ნებისმიერი სახის ხელშეკრულება დაინტერესებულ სხვადასხვა ქვეყნის პროფკავშირულ ორგანიზაციებს შორის დელეგატთა გაცვლის თაობაზე. აგრეთვე გაუგზავნონ ერთიმეორეს ბეჭდვითი ორგანოები, პუბლიცისტური მასალები, საერთაშორისო კონფერენციის მასალები. მათ აქვთ უფლება საწევრო გადასახადები დაუკავონ ეროვნულ და საოლქო პროფკავშირულ ორგანიზაციებს.

25. მსოფლიოს ყველა მშრომელს აქვს უფლება გამოიყენოს ამ ქარტიაში მოცემული უფლებები ყოველგვარი დისკრიმინაციის, რეპრესიის გარეშე, ასაკის, სქესის, ენის, რასის, პოლიტიკური შეხედულების განურჩევლად.

## საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე

### შესავალი

არაერთხელ თქმულა სსრკ კონსტიტუციისადმი საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიისა და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის უნიატური გაერთიანების დამოკიდებულების შესახებ. ამჯერადაც უნიატური გაერთიანების პოლიტიკური სახის წარმოსადგენად საჭიროა აღნიშვნა ამ პოზიციისა. უნიატური გაერთიანების აზრი ასეთია-სსრკ კონსტიტუციით საქართველოს არ შეუძლია დამოუკიდებლობის მიღწევა.

ა. სსრკ კონსტიტუციის 75-ე მუხლით სსრკ-ის ტერიტორია ერთიანია და შეიცავს მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიას-სსრკ-ის სუვერენიტეტი მთელს მის ტერიტორიაზე ვრცელდება.

ბ. სსრკ-ის კონსტიტუციის 72-ე მუხლით მხოლოდ საკავშირო სახელმწიფო ხელისუფლების კომპეტენციაშია სსრკ-ის სახელმწიფო საზღვრების დაწესება.

ამ ორი მუხლიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს არ შეუძლია განკარგოს საკუთარი მიწა-წყალი, რადგან მას არ გააჩნია სუვერენიტეტი საკუთარ ტერიტორიაზე. ამასთან, რამდენადაც მოკავშირე რესპუბლიკის გასვლა სსრკ-ის შემადგენლობიდან თავისთავად გამოიწვევს სახელმწიფო საზღვრის შეცვლას ამდენად რესპუბლიკას გასვლის ნება უნდა დართოს ისევ საკავშირო ხელისუფლებამ.

მაშასადამე, ერთა თვითგამორკვევის პრინციპის გამოყენება საფუძველშივე შეუძლებელია. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ სსრკ-ს შემადგენლობიდან გასვლა შეუძლია მოკავშირე რესპუბლიკას იმის განუსაზღვრელად, აქვს თუ არა მას უფლება თავად განსაზღვროს საგარეო და საშინაო პოლიტიკური სტატუსი, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებანი.

### I. ეროვნული დამოუკიდებლობა და პოლიტიკური პრობლემები

საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკაში-რეალურ პოლიტიკაში-ერთა თვითგამორკვევის პრინციპის განხორციელების მექანიზმი ჯერჯერობით შემუშავებული არ არის. მისი ამოქმედება ისევ და ისევ სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობაში ხდება, რომ დიდმა სახელმწიფომ, უნდა მისცეს ობიექტს, მცირე სახელმწიფოს თუ ერს, თვითგამორკვევის უფლებით განახორციელოს დამოუკიდებელი ან სხვა ფორმის სახელმწიფოს ან სხვა ტერიტორიული სტრუქტურის ჩამოყალიბება. სსრკ-ში არსებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთპარტიული რეჟიმი თავისი საბჭოური სისტემით არაფრით იძლევა თვითგამორკვევის უფლებას, არამედ, პირიქით, კრძალავს კიდეც ას. ერთპარტიული რეჟიმის დიამეტრალურად განსხვავებულმა დემოკრატიულმა ინსტიტუტმა-მრავალპარტიულმა სისტემამ-უნდა განახორციელოს თვითგამორკვევის პრინციპის მექანიზმის ამოქმედება. მრავალპარტიულობის დამკვიდრება არ არის მხოლოდ საქართველოს შიგა პრობლემა. იგი უნდა გახდეს რუსეთის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის და სხვა სახელმწიფო-რესპუბლიკათა დემოკრატიული არსებობის წინაპირობა. საქართველოს პირობებში დემოკრატიული სტრუქტურის დამკვიდრება შემდეგნაირად გვესახება:

I. ვინაიდან საქართველოს უმაღლესი საბჭო არის პირდაპირი შედეგი 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ წამოწყებული აქციისა, და წარმოადგენს ერთპარტიული რეჟიმის სტრუქტურულ ასახვას, უნდა შეიქმნას სარეფერენდუმო კომისია, წარმომადგენლობითი პრინციპით შედგენილი-მასში შევლენ როგორც ოპოზიციური პარტიების, ასევე მმართველობის წარმომადგენლები. დეკოლონიზაცია-დეკონსტრუქციის ეტაპზე მმართველობა ჩაითვლება მეტროპოლიის ინტერესების დამცველად.

ა. ქართველმა ერმა და საქართველოში მცხოვრებმა ეროვნულმა უმცირესობებმა პეტიციური წესით უნდა მიიღონ "კანონი რეფერენდუმის ჩატარების შესახებ".

ბ. "კანონი რეფერენდუმის ჩატარების შესახებ" გულისხმობს სარეფერენდუმო კომისიის შექმნას. კომისიამ უნდა მოამზადოს გამოკითხვა "კანონისა პოლიტიკურ ორგანიზაციათა შესახებ".

გ. "კანონი პოლიტიკურ ორგანიზაციათა შესახებ" დააფუძნებს მრავალპარტიულ სისტემას, რაც მოამზადებს მრავალპარტიული პარლამენტის-ეროვნული სათათბიროს არჩევას.

დ. უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს-ეროვნულ სათათბიროს ევალება ჩაატაროს "პლებისციტი თავისუფლებისათვის", რაც სამართლებრივ ფორმას მიანიჭებს დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

ე. პლებისციტის შემდეგ ეროვნულმა სათათბირომ უნდა აღადგინოს 1921 წლის 17 მარტს დროებით შეჩერებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია და შემდგომ ამისა შეუდგეს დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებას, რითაც საბოლოოდ იქნება განსაზღვრული საქართველოს პოლიტიკური სტრუქტურა და სოციალ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურა.

## II. ეროვნული დამოუკიდებლობა და ეკონომიკური პრობლემები

სსრკ-ის კონსტიტუციის მე-16-ე მუხლით, რომელიც განსაზღვრავს საბჭოურ ეკონომიკურ სისტემას, როგორც ერთიანსა და განუყოფელს, საქართველოს ეროვნული ეკონომიკა შეუძლებელია არსებობდეს. საკავშირო მინისტრ-სამინისტროთა კოლონიალიზმი შეუდარებელია მსოფლიო მასშტაბით. საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა შეუძლებელია, თუკი ეროვნული შემოსავლის განაწილება არ ხდება ქართველი ერის ინტერესებიდან გამომდინარე. საბჭოური ეკონომიკურ-კოლონიალური სისტემის შეცვლა შეუძლებელია. ერთადერთი გამოსავალი ეკონომიკური კაბალიდან თავისუფალ პროფესიულ კავშირთა ჩამოყალიბებაა, რომელთა მიზანს უნდა წარმოადგენდეს:

I. ყველა დარგის შემოსავლის კონტროლი.

II. სააქციო საზოგადოებათა შექმნა.

III. სააქციო საზოგადოებათა მეშვეობით "ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციით" აღიარებული კოლექტიური საკუთრების ფორმის დამკვიდრება.

სამი ძირითადი ამოცანის გადაჭრა უნდა ემსახურებოდეს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას-საკუთრების რა ფორმას მოითხოვს სოციალ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურა: კერძოს, საზოგადოებრივს, კოოპერაციულს, სახელმწიფოებრივს თუ შერეულს.

## III. ეროვნული დამოუკიდებლობა და ეთნოკრიზისები

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ქართველი ერის უზენაესი იდეაა და მის განხორციელებას სხვადასხვა წინააღმდეგობა ხვდება, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი. ამ უკანასკნელთა რიგს განეკუთვნება ეთნოკონფლიქტური რეგიონების არსებობა საქართველოში. ეთნოკრიზისული მექანიზმი ეროვნული იდეის წინააღმდეგ მიმართული საშუალებაა, რომელსაც ასე გულდაგულ იყენებენ იმპერიული ძალები.

ამდენად ვითარების კონტროლი აუცილებლობას წარმოადგენს ეროვნულ-პოლიტიკური ოპოზიციური ძალებისათვის და მათ შორის საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიისათვის. ვითარების მაკონტროლებელი მექანიზმი ისევ და ისევ ეროვნული სათათბიროს იდეაში ძევს. მრავალპარტიული პარლამენტის-ეროვნული სათათბიროს- დასაყრდენი, სამხარეო ინსტიტუტის შექმნა უახლოეს მომავალში განხორციელებადი უნდა გახდეს. სამხარეო სათათბირო თავის თავში გააერთიანებს:

ა. დემოკრატიულ მექანიზმს: სარეფერენდუმო კომისიას, მრავალპარტიულობის და სხვათა მხარდამჭერის ფუნქციას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ბ. სტაბილური ვითარების შექმნისათვის ზრუნვას ამა თუ იმ ეთნოკონფლიქტურად მწვავე რეგიონში.

გ. ა და ბ პუნქტების შესრულება მოამზადებს იმის პირობას, რომ სამხარეო სათათბირო იქცეს ადგილობრივ მმართველ ინსტიტუტად.

## ბოლოთქმა

ეროვნული მოძრაობა პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტების მთლიანობაა, ის, რაც პოლიტიკური ბრძოლით მიიღწევა, გარკვეულ დროს ითხოვს. მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული სათათბიროს იდეით შემოფარგვლა და მისთვის ბრძოლა შეიძლება დაითავრდეს იზოლაციით. ეკონომიკური თვითდამკვიდრებისაკენ სწრაფვა, რისთვისაც თავისუფალმა პროფესიულმა კავშირებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ გაფიცვებითა თუ დემონსტრაციებით, ამ იზოლაციისაგან ათავისუფლებს ოპოზიციას, ხოლო ეთნოკრიზისული ვითარების განმუხტვის შესაძლებლობას იძლევა სამხარეო სათათბირო, რომელიც წარმოადგენს მომავალი თავისუფალი საქართველოს შინაგანი კონსტიტუციის-სამხარეო ფედერალიზმის განმახორციელებელს სახელმწიფოებრივ აგებულებაში.

ასეთია, ზოგად ხაზებში და სქემის სახით, საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიის მოქმედება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ირაკლი შენგელაია

მინაწერი. საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიის აგებულება პრინციპულად განსხვავდება ჩვენთვის ცნობილი მოდელებისაგან. პარტიის მიზანია არა წევრთა სიმრავლე, არამედ ელექტორატის თანაგრძნობა და მხარდაჭერა. პარტიას არ ეყოლება წევრთა მუდმივი რაოდენობა - რიცხობრივ ზრდა მოხდება საარჩევნო პერიოდში, კლება - არჩევნებიდან არჩევნებამდე.

**მხარს ვუჭერთ მხოლოდ**

**მრავალპარტიულ**

**არჩევნებს!**

**ბოიკოტი ერთპარტიულ**

**საარჩევნო სისტემას!**

**ვირჩევთ მრავალპარტიულ**

**ეროვნულ სათათბიროს!**

პროექტი

**კანონი არჩევნების შესახებ**

ტერმინთა განმარტება:

1. ეროვნული სათათბირო – პარლამენტი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საკანონმდებლო ორგანო.
2. მხარე – საარჩევნო ტერიტორია
3. კუთხე – საარჩევნო ტერიტორია /საარჩევნო მხარის ნაწილი/
4. სახელმწიფო – იგულისხმება მსოფლიოს სახელმწიფოები და მათთან ერთად ის სახელმწიფოები, რომლებიც დღეს ატარებენ მოკავშირე რესპუბლიკების სტატუსს.
5. პოლიტიკური ორგანიზაცია – პოლიტიკური პარტია, კავშირი, გაერთიანება, ჯგუფი.

## I. ზ ო გ ა დ ი   დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი

**მუხლი 1. საქართველოს ეროვნული სათათბიროს დეპუტატთა არჩევნების საფუძვლები.**

საქართველოს ეროვნული სათათბიროს დეპუტატთა არჩევნები ეწყობა ერთმანდატიან საარჩევნო მხარეებში საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე.

შენიშვნა. I მუხლში ჩამოყალიბებული დებულება ეხება ეროვნული სათათბიროს არჩევის პირველ ეტაპს, როცა არჩეული იქნება ერთი პალატა. საქართველოს პარლამენტი უნდა შედგებოდეს ორი პალატისაგან: ა/. დამფუძნებელი კრება და ბ/. წარმომადგენელთა კრება. არჩევნები უნდა მოეწყოს მრავალმანდატიან საარჩევნო მხარეებში–დამფუძნებელ კრებაში მაჟორიტარული პრინციპით, წარმომადგენელთა კრებაში – პროპორციული პრინციპით.

**მუხლი 2. საყოველთაო საარჩევნო უფლება.**

საარჩევნო მხარეებისაგან ეროვნული სათათბიროს დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა: არჩევის უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ, რომელთაც კენჭისყრის დღისათვის შეუსრულდათ 18 წელი და არ აქვთ სასამართლოს მიერ ჩამორთმეული არჩევნების უფლება.

ეროვნული სათათბიროს დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნას საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, რომელსაც გააჩნია საარჩევნო უფლება, კენჭისყრის დღისათვის შეუსრულდა 21 წელი, იცის სახელმწიფო ქართული ენა და მუდმივად ცხოვრობს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

აკრძალულია მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების რაიმე სახით პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა თუ პრივილეგირება მათი პარტიულობის, წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის გამო.

არჩევნებში არ მონაწილეობენ უცხოელი და სხვა სახელმწიფოთა მოქალაქენი, რომლებიც დროებით ცხოვრობენ, მუშაობენ ან მსახურობენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

არჩევნებში არ მონაწილეობენ ფსიქიურად დაავადებული მოქალაქენი, რომლებიც სასამართლომ არაქმედითუნარიანად სცნო, თავისუფლების აღკვეთის ადგილას მყოფნი, აგრეთვე ის პირები, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იძულებითი მკურნალობის ადგილებში გაიგზავნენ.

**მუხლი 3. თანასწორი საარჩევნო უფლება.**

საარჩევნო მხარისაგან ეროვნული სათათბიროს დეპუტატთა არჩევნები თანასწორია: ამომრჩეველს ყველა საარჩევნო მხარეში ერთი ხმა აქვს. ამომრჩევლები არჩევნებში თანასწორ საფუძვლებზე მონაწილეობენ.

**მუხლი 4. პირდაპირი საარჩევნო უფლება.**

საარჩევნო მხარეებისაგან ეროვნული სათათბიროს დეპუტატთა არჩევნები პირდაპირია: დეპუტატებს მოქალაქენი უშუალოდ ირჩევენ.

**მუხლი 5. ფარული კენჭისყრა.**

ეროვნული სათათბიროს არჩევნებში კენჭისყრა ფარულია: ამომრჩეველთა ნება-სურვილის გამოვლინებისადმი კონტროლი დაუშვებელია.

**მუხლი 6. არჩევნების ჩატარება საარჩევნო კომისიათა მიერ.**

ეროვნული სათათბიროს დეპუტატთა არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც იქმნებიან ტერიტორიული ნიშნის მიხედვით წარმომადგენლობითი პრინციპის საფუძველზე.

საარჩევნო კომისიები თავიანთ მუშაობას წარმართავენ ღიად და საჯაროდ, რასაც უზრუნველყოფს:

ა/ საარჩევნო კომისიათა წარმომადგენლობითი შემადგენლობა.

ბ/. კომისიის მუშაობაში საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიერ ნებით აღჭურვილ პირთა მონაწილეობა, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენელთა შეუფერხებელი დასწრება და

გ/. საარჩევნო კომისიის წევრთა უფლება შეუფერხებლივ და დაუყოვნებლივ გააკეთონ განცხადებები მასობრივი ინფორმაციის საშუალებით კომისიის მუშაობის ამა თუ იმ მხარის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი ეროვნული სათათბიროს დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობენ როგორც მათ წარმომადგენელთა მეშვეობით, ისე უშუალოდაც.

საარჩევნო კომისიათა სხდომები ტარდება ღიად, რაც გულისხმობს რესპუბლიკის ამომრჩეველთა უფლებას შეუფერხებლივ, უშუალოდ დაესწრონ არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა კრებასა და სხდომას, წამოაყენონ წინადადებანი და გააკეთონ განცხადებები /გაგრძელება შემდეგ ნომერში/.

## ისტორიიდან

მუხლი 61.

პარლამენტის უფლებაა:

ა/. უმაღლესი გამგეობა რესპუბლიკის ჯარისა და საზოგადოდ ყოველი შეიარაღებული ძალისა.

ბ/. ომის გამოცხადება.

გ/. ზავის ჩამოგდება.

დ/. დამტკიცება საზავო, სავაჭრო და სხვა ხელშეკრულებისა უცხო სახელმწიფოებთან.

ე/. ამნისტია.

ვ/. ბიუჯეტის დამტკიცება.

ზ/. საშინაო და საგარეო სესხის აღება.

თ/. თანამდებობის პირთა არჩევა, კონსტიტუციით ან კანონით მისდა მიკუთვნებული.

ი/. საერთო კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლებისა.

საქართველოს კონსტიტუცია, 1921 წ.

## დემოკრატიული არჩევნებისათვის

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიისა და საქართველოს ეროვნული სამართლიაობის კავშირის უნიატური გაერთიანება ქართველ ერს განსახილველად სთავაზობს კანონპროექტს "პოლიტიკურ ორგანიზაციათა შესახებ". ამ კანონის მიღებით ქართველი ერი უარს იტყვის არჩევნების იმ არადემოკრატიულ ფორმაზე, რომელიც დამკვიდრებულ იქნა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში 1921 წლის თებერვლის შემდგომ. 1921 წლის 24 მარტს გამოქვეყნებული ანტისამართლებრივი დეკრეტით ხელისუფლების უზურპაციით სახელმწიფოს სათავეში მოქცეულმა სსრ რევკომმა, რომელიც ბოლშევიკური რუსეთის საოკუპაციო ჯარებს ეყრდნობოდა, მოითხოვა საქართველოს დამფუძნებელი კრება. ქართველმა ერმა თავისი დამოკიდებულება უნდა გამოაცხადოს რამდენიმე ათეული წლის წინ მომხდარი ანტიჰუმანური და ანტიდემოკრატიული აქტის მიმართ.

პროექტი

### კანონი პოლიტიკურ ორგანიზაციათა შესახებ

ტერმინთა განმარტება:

1. საქართველოს რესპუბლიკა – საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფო
2. პოლიტიკური ორგანიზაცია – პოლიტიკური პარტია, კავშირი, გაერთიანება, ჯგუფი
3. რესპუბლიკის უზენაესი საკანონმდებლო ორგანო – საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის დემოკრატიული წყობის ძირითად და აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს განსხვავებულ პოლიტიკურ ორგანიზაციათა არსებობა.

მუხლი 2. პოლიტიკურ ორგანიზაციათა შექმნა თავისუფალია. საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს გაერთიანდეს რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციაში, ან ჩამოაყალიბოს ამა თუ იმ სახის პოლიტიკური ორგანიზაცია.

მუხლი 3. ყოველი პოლიტიკური ორგანიზაცია სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით. პოლიტიკური ორგანიზაცია იურიდიული პირის სტატუსს იღებს მისი დაარსების დღიდან.

მუხლი 4. არც ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას არ აქვს უფლება გამოაცხადოს თავი ერის ნების ერთადერთ გამომხატველად, საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად.

მუხლი 5. პოლიტიკური ორგანიზაციები მოვალენი არიან:

ა/. დაიცვან ქართველი ერის ინტერესები.

ბ/. თავიანთი საპროგრამო მოთხოვნები განახორციელონ დემოკრატიული გზითა და მშვიდობიანი მეთოდებით.

გ/. არ დადონ ისეთი სახის ხელშეკრულება, რომლის შედეგად ისინი დაექვემდებარებიან საერთაშორისო პოლიტიკურ ორგანიზაციებს თუ ნებისმიერ სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ პარტიებს.

მუხლი 6. პოლიტიკურ ორგანიზაციებს უფლება აქვთ:

ა/. გამოსცენ პერიოდული გამოცემანი.

ბ/. ჰქონდეთ მუდმივი შესაძლებლობა რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლისა.

გ/. დამოუკიდებლად განკარგონ საკუთარი სახსრები.

მუხლი 7. პოლიტიკურ ორგანიზაციებს უფლება აქვთ ცალკეული მიზნის შესაბამისად გაერთიანდნენ ფრონტებში ან შექმნან კოალიციები. ფრონტებში ან კოალიციებში პარტიათა გაერთიანების პირობებს, აგრეთვე მათ ურთიერთობებსა და უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს მათ შორის დადებული შეთანხმება.

მუხლი 8. პოლიტიკური ორგანიზაციები, ფრონტები, კოალიციები თავისუფლდებიან სახელმწიფო გადასახადებისაგან და სარგებლობენ ფოსტა-ტელეგრაფის გამოყენების შეღავათებით, რომელიც აუცილებელია მათი ფუნქციათა განხორციელებისათვის.

მუხლი 9. იმ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, ფრონტებსა და კოალიციებს, რომლებიც თავის რიგებში აერთიანებენ არა ნაკლებ საქართველოს რესპუბლიკის 2,000 მოქალაქეს, გააჩნიათ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

მუხლი 10. პოლიტიკურ ორგანიზაციათა ლიკვიდაცია ხდება:

ა/. პოლიტიკურ ორგანიზაციათა ერთ ორგანიზაციად გაერთიანების დროს.

ბ/. ერთი პოლიტიკური ორგანიზაციის შერწყმით მეორესთან.

გ/. თვითლიკვიდაციის გზით.

დ/. იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია მოცემული კანონის მეოთხე და მეხუთე მუხლების მოთხოვნები, პოლიტიკური ორგანიზაციის, როგორც იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხდება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს ბრძანებულებით.

შენიშვნა.

ზოგი ცნება, გამოყენებული კანონპროექტში, რომელიც არ შევიდა ტერმინთა განმარტებაში თავისი დროებითი ხასიათის გამო, საჭიროებს ახსნას:

ა/. პოლიტიკური ფრონტი – იგულისხმება ამ ცნების ტრადიციული გაგება და არა მისი თანამედროვე მოდელი.

ბ/. სხვა სახელმწიფოები – მათ რიგში შედიან როგორც საზღვარგარეთის, ასევე ის სახელმწიფოები, რომლებიც დღეს ატარებენ მოკავშირე რესპუბლიკების სტატუსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კანონი საერთო სახალხო კენჭისყრის /პლებისციტის, რეფერენდუმის/ ჩატარების შესახებ

პროექტი

> მიღება "კანონისა პოლიტიკურ ორგანიზაციათა შესახებ" შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ რეფერენდუმის მეშვეობით. ქართველ ერს საშუალება უნდა ჰქონდეს თავისი შეხედულებისამებრ დაამკვიდროს სამართალი. საერთო რეფერენდუმის კომისიის შექმნა ერის ნებით უნდა განხორციელდეს, პეტიციური წესით. რამდენადაც საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტია უნდობლობას უცხადებს საქართველოს უმაღლეს საბჭოს, ნებისმიერი კანონის მიღება მისი აზრით უნდა მოხდეს რეფერენდუმით. კანონი რეფერენდუმის შესახებ საბჭოური სისტემისათვის მიუღებელია, რადგან შესაძლოა საყოველთაო გამოკითხვამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს არსებული წეს-წყობილების ხელშეუხებლობა.

ტერმინთა განმარტება:
1. რესპუბლიკის პრეზიდენტი-საქართველოს რესპუბლიკის მეთაური.
2. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო-საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი.
3. სარეფერენდუმო კომისია-კომისია, რომელიც იქმნება ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციათა და მმართველობის თითო წარმომადგენლისაგან.

მუხლი 1. საერთო სახალხო კენჭისყრა შეიძლება დანიშნულ იქნას:
ა. რესპუბლიკის პრეზიდენტის ინიციატივით.
ბ. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ინიციატივით.
გ. ამომრჩეველთა მოთხოვნით /პეტიციის საფუძველზე/.

მუხლი 2. საერთო სახალხო კენჭისყრის დანიშვნისა და ჩატარების წესი გამომდინარეობს იქიდან, თუ რა საკითხებს ეხება კენჭისყრის ჩატარების მოთხოვნა.
პირველი ჯგუფის საკითხებია:
ა. კონსტიტუციის შეცვლა ან ახალი კონსტიტუციის მიღება.
ბ. საკანონმდებლო ორგანოსადმი უნდობლობის ვოტუმის გამოცხადება.
გ. რესპუბლიკის პრეზიდენტის გადაყენების მოთხოვნა.
დ. კანონთა მიღება, გაუქმება ან შეცვლა, რომლებიც იწვევენ მოქმედ კონსტიტუციაში შესაბამის შესწორებათა შეტანას.
მეორე ჯგუფის საკითხებია:
ა. კანონთა მიღება, გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება, რომლებიც არ იწვევენ მოქმედ კონსტიტუციაში შესწორებათა შეტანას.
ბ. მოთხოვნა საკანონმდებლო ორგანოს ცალკეულ გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ.
გ. მოქალაქეთა ინტერესებიდან გამომდინარე სხვა საკითხები, რომლებიც არ მოითხოვენ ცალკეულ კანონთა გაუქმებას, შეცვლას ან მიღებას.

მუხლი 3. პირველი ჯგუფის საკითხები შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ და მხოლოდ საერთო სახალხო კენჭისყრის საშუალებით, მოცემულ საკითხებზე კენჭისყრა ინიშნება, თუ:
ა. მის მოწვევას მოითხოვს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ნახევარი მაინც.
ბ. მის მოწვევას ითხოვს არა ნაკლებ 500 000 ამომრჩეველი.

მუხლი 4. მეორე ჯგუფის საკითხები შეიძლება განხილულ იქნეს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ, თუ მის განხილვას მოითხოვს:
ა. რესპუბლიკის პრეზიდენტი.
ბ. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს 1/3.
გ. 30 000 ამომრჩეველი. /სახალხო ინიციატივა/.

მუხლი 5. საკანონმდებლო ორგანოს მიერ მეორე ჯგუფის საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის მოთხოვნა კენჭისყრის საშუალებით ან მოცემულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება საერთო სახალხო კენჭისყრის ჩატარებით დაისმება, თუ მას მოითხოვს:
ა. რესპუბლიკის პრეზიდენტი.
ბ. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს 1/2.
გ. 300 000 ამომრჩეველი.

მუხლი 6. საერთო სახალხო კენჭისყრის ჩატარება ეკისრება სარეფერენდუმო კომისიას, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ნიშნავს საერთო სახალხო კენჭისყრას, იღებს დადგენილებას სამხარეო და საუბნო კომისიათა შექმნის შესახებ და აქვეყნებს განცხადებას, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს:
ა. საერთო სახალხო კენჭისყრის ჩატარების დღე.
ბ. საერთო სახალხო კენჭისყრის მიერ გადასაწყვეტი საკითხები. თუ საკითხი ეხება კონსტიტუციას, კონსტიტუციის კანონთა შეცვლას, გაუქმებას ან ახლის მიღებას, აქვეყნებს შესაბამის კანონებისა და კანონპროექტთა სრულ ტექსტებს.

მუხლი 7. საერთო სახალხო კენჭისყრის კამპანია იწყება ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

მუხლი 8. საერთო სახალხო კენჭისყრა ტარდება საყოველთაო კანონის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 9. პეტიციური წესით დაყენებულ საერთო სახალხო კენჭისყრის ჩატარებას ნიშნავს სარეფერენდუმო კომისია, თუ დაცულია პეტიციის წარდგენის კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები.

მუხლი 10. პეტიციის წარდგენის უფლება აქვს ყოველ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რისთვისაც ისინი მოვალენი არიან გააკეთონ განცხადება სარეფერენდუმო კომისიაში და მიიღონ ხელმოწერების შეგროვებისათვის სპეციალური ბლანკები, ყოველ ბლანკზე აღინიშნება მოთხოვნის მოკლე ტექსტი. თუ მოთხოვნა ეხება კანონპროექტის

მიღებას, სარეფერენდუმო კომისია უზრუნველყოფს კანონპროექტის გამოქვეყნებას, ხოლო ხელმოწერების ბლანკში აღინიშნება მხოლოდ კანონპროექტის დასახელება.

**მუხლი 11.** პეტიციის ინიციატორთა მიერ სარეფერენდუმო კომისიიდან ხელმოწერის ბლანკების მიღება ითვლება ხელმოწერათა დაწყების დღედ. ინიციატორები ვალდებული არიან არა უგვიანეს ერთი წლისა დაამთავრონ ხელმოწერების შეგროვება კანონით გათვალისწინებული რაოდენობის დაცვით. სარეფერენდუმო კომისიას შეუძლია გაუგრძელოს პოლიტიკურ ორგანიზაციას ხელმოწერების შეგროვების ვადა, მაგრამ არა უმეტეს 3 თვემდე.

**მუხლი 12.** პეტიციაზე ხელმოწერის უფლება აქვს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 16 წელი. ხელმოწერის ბლანკში აღინიშნება მოქალაქის გვარი, სახელი, მამის სახელი და საცხოვრებელი ადგილი. შევსებული ბლანკები უბრუნდება სარეფერენდუმო კომისიას, რომელიც ახდენს მათ რიგობრივ დანომვრას, ამოწმებს ხელმოწერათა ნამდვილობას და შედეგებს აცნობს პეტიციის ორგანიზატორებს.

**მუხლი 13.** პეტიციაზე ხელმოწერების დამთავრებიდან ერთი თვის ვადაში, თუ დაცულ იქნა კანონის მოთხოვნები, სარეფერენდუმო კომისია ნიშნავს საერთო სახალხო კენჭისყრას.

## წ ე რ ი ლ ე ბ ი

### ტრაგედიის შესახებ

მრავალი შავბნელი დღე გათენებია საქართველოს საბჭოური რეჟიმის დამყარების შემდეგ და...კიდევ ერთი.

დამნაშავეს ამაოდ ვეძიებთ, რადგან ცხადზე ცხადია, რომ დამნაშავეა ტოტალიტალური კომუნისტური რეჟიმი და არა კონკრეტული პიროვნება ან პიროვნებათა ჯგუფი.

დამნაშავეა - ბოლშევიკურ ფანატიზმთან შეზავებული დიდმპყრობელური რუსული შოვინიზმი.

ამაოდ ველით კრემლში ლიდერს, რომლის მეცადინეობითაც იქ დიდსულოვნებას გამოიჩენენ დაპყრობილი ერების მიმართ, რამეთუ დაგვიპყრეს "ბოლშევიკური მესიის" - ლენინის მმართველობის დროს. სწორედ ლენინის დროს მოატყუა რუსეთის საბჭოურმა მთავრობამ საქართველო... სცნო იგი დამოუკიდებელ ქვეყანად, ხელშეკრულებაც დაუდო და შემდეგ ჯარი შემოუსია.

<u>სტალინის</u> დესპოტიზმს ასიათასობით ქართველი შეეწირა.

<u>ხრუშჩოვის</u> ყბადაღებული "გამოდარების" პერიოდში კი... ტყვიები დაგვიშინეს და ასობით ქართველი გამოასალმეს სიცოცხლეს.

<u>ბრეჟნევის</u> "უძრაობის" დროს აყვავებულმა კორუფციამ ათიათასობით კაცი ჩაითრია და ციხეები აივსო ქართველებით.

<u>გორბაჩოვის</u> საჯაროობის და "დემოკრატიზაციის" დრო მოვიდა და ბართლომეს ღამე დაგვიყენეს 9 აპრილს...

....ადამიანის სისხლზე დაგეშილმა მკვლელებმა ორლესული ნიჩბებით ჩახოცეს და გაზით მოგუდეს ათობით ქართველი, ათასობით კი მოწამლეს.

მაინც რატომ გაგვიმეტეს ასე უმოწყალოდ? "დემოკრატიზაციის" ეპოქაში?

თავისუფალი მეწარმეების ქვეყნების ეკონომიურმა აღმავლობამ, ზოგიერთი დასავლეთის სახელმწიფო მოღვაწის მხრიდან ჰუმანიზმის პრინციპების განსაკუთრებულმა ერთგულებამ, საბჭოური ეკონომიკის სტაბილურად დაბალმა დონემ და კომუნისტური იდეოლოგიის კრახმა - ფრთები შეაკვეცა მსოფლიოს მენტოროობის კრემლის ამბიციურ სურვილს.

პოლიტიკური პრესტიჟის მოპოვებისათვის და ეკონომიური კრახისაგან თავდასაღწევად უცხოური ვალუტის მიღებისათვის - საბჭოეთის მთავრობამ დემოკრატიზაციის ნიღაბი გაიკეთა. პოლონეთმა და უნგრეთმა გადაწყვიტეს სასწრაფოდ ისარგებლონ ამით და როგორმე დაუძვრნენ კომუნისტურ ბლოკს. იმპერიაში უშუალოდ შემავალმა ერებმაც მოინდომეს თავისუფლება და... ქართველებმა ხმა აუმაღლეს სანუკვარი დამოუკიდებლობის კვლავ აღსადგენად, კონსტიტუციის 72-ე მუხლის მოშველიებით ...მაგრამ იმპერია ასე ადვილად არ თმობს საკუთრებას...

დასაშინებლად და დასაშოშმინებლად გენოციდის ტოლფას ბარბაროსული ხოცვა-ჟლეტა დაგვატეხეს თავს...გაგვიმეტეს ჩვენდამი განსაკუთრებული <u>სიძულვილის</u> გამო.

"ველიკორუს" შოვინისტებში /და არა რუსი ერის საუკეთესო ნაწილში/ "ანტიქართველიზმი" ისევე მძვინვარებს, როგორც "ანტისემიტიზმი". მაგრამ თუ ანტისემიტიზმის ოფიციალურ პროპაგანდას ერიდებიან, ანტიქართველიზმს აშკარად ავრცელებენ ინფორმაციის ოფიციალური საშუალებები, შოვინისტი რუსი მწერლები /მაგალითები მოგეხსენებათ/.

ანტიქართველიზმი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ჩაისახა იმ მიზეზით, რომ რუსმა იმპერიალისტებმა ქართველებში 180 წლიდან მოყოლებული ვერ ჩაკლეს ეროვნული სული. დიდი სომეხი პოეტი - ოვანეს თუმანიანი წერს: "ქართველები კავკასიაში მუდამ პირველები იყვნენ თავიანთი პოლიტიკური მოთხოვნილებებით". საქართველოს კავკასიის პოლონეთს უწოდებდნენ სწორედ ეროვნული და სოციალური უფლებებისათვის გაბედული ბრძოლამ გასულ საუკუნეში გააღვივა "ველიკორუსული ანტიქართველიზმი". საბჭოურ პერიოდში კი სტალინ-ბერიას ფენომენის გამო ახალი ძალით იფეთქა ანტიქართველიზმმა და შედეგი სახეზეა...

ვიმეორებ, რომ რუსი ერის საუკეთესო ნაწილისთვის უცხოა ანტისემიტიზმიც, ანტიქართველიზმიც და ბარბაროსობაც. კომუნისტურ-სალდაფონურმა რუსულმა შოვინიზმმა კი ასე გაგვიმეტა... გაგვიმეტა იმპერიის მარწუხებისაგან თავდასაღწევად მებრძოლი სხვა ერების დასაშინებლადაც...ამიტომ გაატარეს 9 აპრილის შემდეგ ტანკები ვილნიუსში, რიგასა და ტალინში. ჩამოეხსნა ნიღაბი გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიას.

მთელს მსოფლიოში აღშფოთდნენ კეთილი ნების ადამიანები, ყველამ დაინახა "მიშველი მეფე". მაგრამ დასავლეთის პოლიტიკოსებმა თვალებზე ხელი აიფარეს, მათ ურჩევნიათ მოთვინიერებულ დათვის ნიღაბს ხედავდნენ, ვიდრე რაკეტისკბილება ურჩხულს...

ჩვენ კი, უპირველესად, ჩვენივე ერთობისა და სიმტკიცის იმედი უნდა ვქონდეს, შემდგომ კი მსოფლიოს ერთა პროგრესული ძალების თანადგომისა.

კეთილი უეჭველად სძლევს ბოროტს!

გიზო კორძაძე

### ემოცია და გონიერება

ერთ-ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში "რას ნიშნავს "გონიერება"?"/"თბილისი" 18 აპრილი, 1989 წ., №90/, ავტორი გია ნოდია აკეთებს ანალიზს ყველასათვის თავმობეზრებული მოწოდებისა "ახლა საჭიროა გონიერება, ნუ აჰყვებით ემოციებს" და ცდილობს გაარკვიოს იმის მიზეზი, თუ რატომ გახდა დღეს სიტყვა "გონიერება" ასეთი გამაღიზიანებელი. იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ამ სიტყვამ დაკარგა საზრისი და იგი რეალურად იხმარება მორჩილების, სიმხდალის, კონფორმიზმის მნიშვნელობით. ეს უდავოდ სწორი დასკვნაა, მაგრამ ახლა ჩვენ გვაინტერესებს კიდევ უფრო ხშირად ხმარებული სიტყვა "ემოციების" რეალური მნიშვნელობა. ამის ანალიზი აღნიშნულ წერილში არ არის, არადა სიტყვის ხმარების სიხშირით თუ ვიმსჯელებთ, ამგვარი ანალიზი მნიშ—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნელთვანია.

საკითხი ორად უნდა გაიყოს: ერთი—ცნება "ემოციების" რეალური მნიშვნელობის მისი კვლევა, მეორე—იმ აშკარა, თუ ფარული ფსიქოლოგიური მოტივების აღმოჩენა, რაც საფუძვლად უდევს ამ სიტყვის დღესდღეობით ხმარებას.

რეალური მნიშვნელობის გამოთვლა ძალიან ადვილია. ერთი შეხედვით ემოციები იხმარება როგორც უაზრო, გამაღიზიანებელი აურზაური და ცხელა-შემოხლა, უმართავი, ქაოტური პროცესი, თუ "გონიერების" ეხლანდელი რეალური მნიშვნელობა "სიმხდალე", "კონფორმიზმი", მაშინ გამოდის, რომ "ემოციების" ნამდვილი მნიშვნელობა ყოფილა "გაბედულება", "ანტიკონფორმიზმი", "უანგარობა". ანტიკონფორმიზმი, გაბედულება და უანგარობა დღევანდელობის კონტექსტში შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ეროვნულ გრძნობას, პატრიოტიზმს. აი, "ემოციების" რეალური მნიშვნელობა. ხოლო გაშიფვრა ყბადაღებული ფრაზისა "მოვუხმოთ გონიერებას, ნუ ავყვებით ემოციებს" იქნება ასეთი: "მოვუხმოთ სიფრთხილეს, სიმხდალეს, კონფორმიზმს, ნუ ავყვებით გამოღვიძებულ ეროვნულ გრძნობას, იმიტომ, რომ ეს საშიშია." /ამას ხშირად ღია ტექსტითაც ამბობენ, რასაკვირველია შერბილებული ფორმით./

რაც შეეხება ფარულ მოტივებს, ცნება "ემოციები" საკმაოდ ბუნდოვანია, ამიტომ მასში ნებისმიერი მოვლენა შეიძლება იგულისხმებოდეს, ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებიდან დაწყებული მასობრივი ფსიქოზით გათავებული. ყველაფერს ერთად "ემოციებს" უწოდებენ, ნებსით თუ უნებლიედ ერთმანეთთან გააიგივებენ და ამით პირველს/ანუ ეროვნულ გრძნობას აუფასურებენ. ამიტომ ზუსტად უნდა განისაზღვროს ცნება, რომ ასეთი გაბუნდოვნების და არევ-დარევის საშუალება აღარ იყოს. ამაზე ქვემოთ, მაგრამ თუ არ ვცდებით, ერთ-ერთ ფარულ მოტივს უკვე მივაკვლიეთ—ეს არის ეროვნული გრძნობის გაუფასურების, დისკრედიტაციის სურვილი. დისკრედიტაცია ცუდი სიტყვაა. იგი/როგორც ამას რამდენიმე ხნის წინ გამოსული უღლეური კანონი გვამცნობდა/განუყოფელია რეპრესიისაგან. ამას ცნებათა ხმარების ანალიზიც ადასტურებს: პატრიოტულ მოძრაობას არა მხოლოდ შეფარულად, არამედ პირდაპირ ნათლა- "მასობრივ ფსიქოზად", "მასობრივ ისტერიად", "ეიფორიად". ყველა ეს ტერმინი ფსიქიატრის ლექსიკონიდან არის აღებული. მაგრამ სიტყვა "ფსიქიატრია" ძალიან ნაცნობ ასოციაციებს იწვევს—საკუთრივ იმას, რომ საბჭოთა სინამდვილეში სხვაგვარად მოაზროვნეთ სრულიად არაორაზროვნად გამოამწყვდევენ ხოლმე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში—ე.ი. ისინი ამ ფორმით იყვნენ რეპრესირებულნი.

მაშ, ერთი ფარული მიზანი "ემოციებზე" ამდენი ლაპარაკისა ყოფილა გამოღვიძებული ეროვნული გრძნობის დისკრედიტაციის და, ფარული სახით დასჯის სურვილი. მაგრამ არა ერთადერთი. აქ დგება კიდევ საკითხი ემოციის ქაოტური, მადეზორგანიზებელი ბუნების საკითხი, მისი ე.წ. "უმართავი მომენტი".

"უმართავი მომენტი" ფრიად საგულისხმო "მომენტია". ეს არის ერთ-ერთი ძირითადი ბრალდება "ემოციების" წინააღმდეგ. იგულისხმება ყოველგვარი ქაოსი, რამაც შეიძლება "ყოვლად გაუთვალისწინებელი შედეგები" მოგვიტანოს და ამიტომ უაღრესად საშიშია. რაც შეეხება ქაოსს, კინოფირი მაინც არ არსებობდეს, სადაც აღბეჭდილია სასიკვდილო საშიშროების წინაშე ათი ათასი ადამიანის სასწაულებრივი თავშეკავება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გმირობა, ფსიქოლოგიურ თვალსაზრისით—უძლიერესი ემოციის მოთოკვის, ქცევის ორგანიზებულ არხში გადაყვანის უნარი, ე.ი. ქაოსის საწინააღმდეგო რამ. უმართავიაო, დიახ, ადგილობრივი და ზემდგომი მმართველობისათვის მართლაც უმართავი პროცესები მიმდინარეობდა საქართველოში და სცადეს ამ პროცესის "მართვა" ტანკებით, ნიჩბებით და ქიმიით.

რაც შეეხება ემოციის მადეზორგანიზებელ როლს, სხვათაშორის ფსიქოლოგიაში ცნობილია თეორია, რომელიც ემოციას მხოლოდ ამ ფუნქციას/ე.ი. ქცევის დეზორგანიზაციას/ მიაწერს. არსებობს ამის საპირისპირო თეორიაც. თავს არ შეგაწყენთ თეორიების გარჩევით, აქ ამისი ადგილი არ არის, ვიტყვი მხოლოდ, რომ არ შეიძლება ფსიქოლოგიისათვის მისაღები იყოს თეორია, რომლის მიხედვითაც ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი ფსიქიკური თვისების, ემოციის ფუნქცია არის მხოლოდ ქცევის დეზორგანიზაცია. ილუსტრაციისათვის მოვიყვან მაგალითს მხატვრული ლიტერატურიდან, თუნდაც "ვეფხისტყაოსანიდან". ტარიელის სიყვარული, ეს ძლიერი ემოცია, მისი ცხოვრების გარკვეულ პერიოდში/ველად გაჭრის დროს/მისი ქცევის დეზორგანიზაციას ახდენს. მაგრამ განა შეიძლება ითქვას, რომ მისი სიყვარული მხოლოდ დეზორგანიზაციის, ქაოსის მომტანი იყო და სხვა არაფერი? რასაკვირველია, არა! ბოლოს და ბოლოს ამ სიყვარულის ძალით მოხდა ქცევის ისეორგანიზაცია, მიზანდასახული აწყობა, რასაც მოჰყვა ქაჯეთის ციხის აღება.

ასეა თუ ისე, ემოციის ეს მხარეც არსებობს, თუმცა ემოციის ძირითად ფუნქციასთან საერთო არაფერი აქვს. უნდა ითქვას, რომ ძლიერი ემოციისათვის დამახასიათებელია დიდი ენერგიის გამოყოფა, რათა ექსტრემალურ სიტუაციაში უზრუნველყოს ადამიანის სწრაფი და ადექვატური/ე.ი. შესაფერისი, მიზანშეწონილი/მოქმედება. არ არის გამორიცხული, რომ ეს ენერგია დამანგრეველი აღმოჩნდეს, თუ ადამიანი მას ვეღარ ფლობს, ვერ თოკავს, ვერ გადაჰყავს იგი მიზანშეწონილი ქცევის არხში. ქცევის დეზორგანიზაცია არის ასე ვთქვათ ემოციის თანამდევი ეფექტი. მოვიყვან ანალოგიას: ნამგლით შეიძლება თითი წაითალო, მაგრამ ვერ იტყვი/თუ სრულ ჭკუაზე ხარ/, რომ ნამგალი თითების მოსაჭრელადაა შექმნილი. ასევე ვერ იტყვი, რომ ემოციის ფუნქცია ქცევის დეზორგანიზაციაა.

"შემახილმა ხე გაახმო", მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნე, ემოციის ამ თანამდევი ეფექტის გამოწვევა მიუხედავად "შემახილებისა", ამდენი ლაპარაკისა ქაოსზე და უწესრიგობაზე, ვერ მოხერხდა. აქ კი ცხადი ხდება მეორე ფარული მიზანი, რომელსაც "ემოციებზე" ლაპარაკი უნდა დაეფარა. ეს არის ემოციის დამანგრეველი მხარის პროვოცირების სურვილი იმ მიზნით, რომ ამგვარი ახსნა რეპრესიების საბაბი ყოფილიყო. თუმცა რაღა შემახილი და პროვოცირება, როგორც ცნობილია ამით არ შემოიფარგლნენ, ლაპარაკიდან საქმეზე გადავიდნენ. ნერვული და ფსიქიკური ზემოქმედების ბაზის გამოყენება პირდაპირი გაგრძელებაა და ლოგიკური დასასრული იმ აქციისა, რომელსაც შეიძლება დაერქვას პატრიოტული მოძრაობის სიგიჟედ გამოცხადებისა და შეძლებისდაგვარად სიგიჟედ გადაქცევის მცდელობა. დიახ, გულით და სულით სურთ, რომ ნამგლით მოსავალი კი არ მოვიმკათ, არამედ თითები დავიჭრათ, ამიტომ ფხიზლად უნდა ვიყოთ, ნანატრი არ ავუსრულოთ, არ მივცეთ საშუალება ჩვენი მოზღვავებული ეროვნული ენერგია ქაოსად გადაგვიქციონ.

დალი ბერეკაშვილი

რედაქტორი — ირაკლი შენგელაია. სარედაქციო ჯგუფი — ზაზა კ[illegible]ალია, მიხეილ მაყაშვილი, ეკა სუმბათაშვილი. რედაქციასთან დაკავშირება შეიძლება პარასკეობით, საღამოს ექვსი საათიდან, "მშრალ ხიდთან" მდებარე "ცხრა მარტის ბაღში".

საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტიისა და საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის ერთობლივი გამოცემები ცნობის ფურცელი "უწყებანი" და მისი საინფორმაციო დამატება "ლესი" იბეჭდება შემოწირულობათა ხარჯზე.

ნომერი ჩაბარებულია დასაბეჭდად 17.VIII.1989 ქ.თბილისი.